# ხელშეკრულება №84/11

ქ. თბილისი „17“ „ აგვისტო“ 2011 წ.

## 2. ხელშეკრულების დამდები მხარეები.

შპს „ენგურჰესი“, მდებარე გალის რ-ნი დას. საბერიოში, (საფ/მის: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მე-2 სართული, ენგურჰესის ოფისი), შემდგომში „შემსყიდველად“ წოდებული, მისი დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის ლევან მებონიას სახით, რომელიც მოქმედებს საწარმოს წესდების შესაბამისად, ერთის მხრივ და სს „ელიტ ელექტრონიქსი“ მის. ქ. თბილისი, აგლაძის 7ა, შემდგომში „მიმწოდებლად“ წოდებული, მისი გენ. დირექტორის იოსებ მგელაძეს სახით, მეორეს მხრივ, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 შემსყიდველი ავალებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს საკუთრებაში **midea**-სა და virpuli ფირმის კონდინციონერის 15 კომპლექტი, შემდგომში "საქონელი", დანართ №1 ნაჩვენები ტიპისა და ოდენობის მიხედვით (დანართი №1 წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს)

2.2 „შემსყიდველი" ვალდებულია მიიღოს მოწოდებული საქონელი და გადაიხადოს შეთანხმებული საზღაური.

## 3. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების პირობები

3.1. საქონლის ერთეულის ფასი და რაოდენობა მოცემულია №1 დანართში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
სახელშეკრულებო თანხა მთლიანად შეადგენს 9045.25 (ცხრა ათას ორმოცდახუთ ლარსა და ოცდახუთ თეთრს) ლარს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

3.2. ანგარიშსწორება მომწოდებულ საქონელზე მოხდება უნაღდოდ;

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება მოწოდებულ საქონელზე და გაწეულ მომსახურეობაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში;

## 8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

4.1. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების კონტროლის, მოწოდებული საქონლის რაოდენობის, ხარისხისა და მოწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას განახორციელებს

კოორდინატორი. შპს „ენგურჰესის" პროექტების აღმასრულებელი ბიუროს ადმინისტრაციული ზედამხედველი თეიმურაზ მებონია.

## 9. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1 მომწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ნივთობრივად და ხარისხობრივად უნაკლო საქონელი დროულად;

5.2 წუნდებული საქონლის აღმოჩენის შემთხვევაში დროულად მოახდინოს მისი შეცვლა ახლით ან დაიბრუნოს უკან, შემდგომ საფასურის ანაზღაურებით;

5.3 მომწოდებელი ვალდებულია აანაზღაუროს ახლით შეცვლის შემთხვევაში ტრანსპორტირების ხარჯები;

5.4 მომწოდებელი ვალდებულია საქონელი შეფუთოს ისეთი წესით, რომ შეფუთვა გამორიცხავდეს საქონლის დაზიანებას მოწოდების, ტრანსპორტირების პერიოდში,

5.5 საქონლის გატანას განახორციელებს შემსყიდველი საკუთარი სატრანსპორტო საშუალებით;

5.6 შემსყიდველი ვალდებულია 3 დღის ვადაში შეატყობინოს მომწოდებელს ნაკლის შესახებ მისი აღმოჩენის შემთხვევაში;

5.7 შემსყიდველს უფლება აქვს დააბრუნოს უხარისხო საქონელი;

5.8 შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მომწოდებელს საქონლისა ღირებულება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად

## 10. საქონლის მიწოდების პირობები და ვადები.

6.1. საქონლის მიწოდება ხორციელდება შემსყიდველის მიერ თვითგატანის გზით. ქ.ზუგდიდში არსებული მიმწოდებლის ობიექტიდან.

6.2. საქონლის გადაცემასთან ერთად მიმწოდებელი შემსყიდველს გადასცემს შემდეგ დოკუმენტებს: ტექნიკურ პასპორტს და ექსპლუატაციის ინსტრუქციას.

6.3 საქონლის მიწოდების ვადაა 5 კალენდარული დღე.

## 11. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7.2 საქონლის მიღებისას შემსყიდველი ამოწმებს მის დასახელებას, რაოდენობას და ხარისხის შესაბამისობას დანართ №1-თან.

## 8. ხარისხი და გარანტია

8.1. მოწოდებული საქონელი უნდა აკმაყოფილებდეს საერთაშორისო სტანდარტებს;

8.2. საქონლის საგარანტიო ვადა ექსპლუატაციაში შესვლიდან შეადგენს 36 (ოცდათექვსმეტ) თვეს.

8.3. საგარანტიო ვადის პერიოდის განმავლობაში გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრის ან საქონლის შეცვლის ვადაა 5 დღე ხარვეზების გამოვლენის შესახებ მომწოდებლისათვის შეტყობინების მომენტიდან.

## 10. მხარეთა პასუხისმგებლობები

10.1. ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ კანონით გათვალისწინებული წესით.
10.2. მხარეები ვალდებულებას კისრულობენ აუნაზღაურონ ერთმანეთს წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობით ერთმანეთისათვის მიყენებული ზარალი.
10.3. იმ შემთხვევაში, თუ "მიმწოდებელი" 2 დღეზე მეტად გადააცილებს საქონლის მოწოდების ვადას, მას სავალდებულო წესით ეკისრება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ჯარიმა "შემსყიდველის" წინაშე მოსაწოდებელი საქონლის ღირებულების 0,07%-ის ოდენობით.
10.4. გადახდის დაგვიანების შემთხვევაში "შემსყიდველი" გადაიხდის "მიმწოდებლის" სასარგებლოდ მოსაწოდებელი საქონლის ღირებულების 0,07%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
10.5.

## 10. ხელშეკრულების პირობებისა და ფასები გადასინჯვა.

10.1. ყველა დამატება ან შესწორება ამ ხელშეკრულების ირგვლივ ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ხელმოწერილი და დადასტურებულია ორივე მხარის მიერ.
10.2. მხარეებს შეუძლიათ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება თუ მეორე მხარე ან არ ან ვერ ასრულებს სახელშეკრულებო პირობებს. შეწყვეტის შესახებ მხარეები ატყობინებენ ერთმანეთს დაუყონებლივ მიზეზების ჩვენებით. ხელშეკრულების შეწყვეტამ არ უნდა გამოიწვიოს რომელიმე მხარის უფლებების შელახვა.

## 11. ფორს - მაჟორი

11.1. არცერთი მხარე არ აგებს პასუხს ხელსეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებისათვის, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია სტიქიური , საომარი მოქმედებებით, ხანძრით, სამთავრობო გადაწყვეტილებებითა და სოციალური აფეთქებებით და ეს მოვლენები დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ და უშუალოდ გავლენა იქონია მის შესრულებაზე;
11.2. თუ ჩამოთვლილი გარემოებებიდან უშუალოდ რომელიმე მოქმედებს მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ხელშეკრულებით განსაზღვრული შესრულების ვადაზე, ეს ვადა გაგრძელდება დაუძლეველი ძალის გარემოებების მოქმედების ხანგრძლივობის შესაბამისად;
11.3. მხარე, რომელსაც წარმოექმნა დაუძლეველი ძალის გარემოება, ვალდებულია ასეთი გარემოების, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და შეწყვეტის შესახებ შეატყობინოს წერილობით მეორე მხარეს;
11.4. შეტყობინებაში ასახული ფაქტები დადასტურებული უნდა იყოს სავაჭრო პალატის მიერ.

## 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაშია 2011 წლის 31 ოქტომბრამდე;
12.2 ხელშეკრულების მოქმედების საერთო ვადის დენა იწყება ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან.

## 13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. მხარეები წამოჭრილ სადაო საკითხებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით წერილობითი შეტყობინებების და შესაბამისი წესით გაფორმებული დოკუმენტების საშუალებით. იმ შემთხვევაში, თუ მხარეებმა ვერ მიაღწიეს საბოლოო შეთანხმებას, სადაო საკითხი წყდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

## 14. მხარეთა რეკვიზიტები.

„შემსყიდველი"
შპს „ენგურჰესი"
ს/კოდი 251716371
გალის რ-ნი დას. საბერიო

სს „პროკრედიტ ბანკის" ქუთაისი ფილიალის ზუგდიდის განყოფილება
ა/ა 301467126, ბ/კ 220101929
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

________________ ლ. მებონია

„მიმწოდებელი"
სს „ელიტ-ელექტრონიქსი"
ს/კოდი 202268928
მის. ქ. თბილისი, აგლაძის 7ა

სს „თი ბი სი ბანკი »
ბ/კ tbcbge22
ა/ა **GE69tb0600000120467205**
გენ. დირექტორი

________________ ა. მგელაძე

დანართი № 1.

კონდენციონერების მოწოდების
ფასების ცხრილი

| № | დასახელება | რაოდენობა ცალებში | ერთეულის ფასი ლარებში | საერთო ღირებულება ლარებში |
|---|---|---|---|---|
| 1 | midea 09 | 7 | 561.63 | 3931.41 |
| 2 | MST18hr | 8 | 639.23 | 5113.84 |
| | ჯამი | | | **9045.25** |

„შემსყიდველი"
შპს „ენგურჰესი"
ს/კოდი 251716371
გალის რ-ნი დას. საბერიო

დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

------------------ ლ. მებონია

„მიმწოდებელი"
სს „ელიტ-ელექტრონიქსი"
ს/კოდი 202268928
მის. ქ. თბილისი, აგლაძის 7ა

გენ. დირექტორი

------------------ ი. მგელაძე